ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/11

დაბა ქედა, **27 სექტემბერი, 2024 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:15 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 16.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/11 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 სექტემბერი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის №01-06/11 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის №01-06/11 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ბიუროს სხდომის ოქმი №11, 26.09.2024 წელი) და განმარტა რომ, საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

№	**განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები**	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

4	სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის 2024 წლის მესამე კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	ოქტომბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
6	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	ოქტომბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
7	საკრებულოს კომისიების მიერ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	ნოემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
8	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	დეკემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, სოფელ ვაიოში მიმდინარე სასმელის წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამჟამად რატომ იყო შეჩერებული და განხორციელდა თუ არა აღნიშნულის მონიტორინგი?

რაზედაც მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი უფროსმა მუხრან სალაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას არ ფლობდა და კარგი იქნებოდა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიშის წარდგენის დროს განეხილათ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სოფელ ვაიოში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დროებით არის შეჩერებული ადგილობრივ მაცხოვრებლებთან უთანხმოების გამო და მიმდინარეობს მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომელი საკითხები არ იყო განხილული გასულ კვარტალში დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით საკრებულოს სხდომებზე.

კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ III კვარტალში დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით ყველა საკითხის განიხილვა ვერ მოხერხდა, რადგანაც გარკვეული ორგანიზაციების მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95242711; 27.09.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:15 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**